



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1619
31/08/2018

ქალაქი ბათუმი

1619-05-4-201808311443



„მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების და აღდგენის მიზნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სათათბირო ორგანოს- საბჭოს შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 06 აგვისტოს №1459 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ე“ პუნქტის, „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად **ვბრძანებ:**

1.„მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების და აღდგენის მიზნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სათათბირო ორგანოს- საბჭოს შექმნის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 06 აგვისტოს №1459 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ლევან ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი - კომისიის წევრი.“

2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა